585
1964/2

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 35 (268) 22 დეკემბერი 1964 წელი

## შინაარსი

### ნაწილი I

#### განყოფილება პირველი

596. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ვოლგა-ბალტიის წყალსავალი გზისათვის ვ. ი. ლენინის სახელის მიკუთვნების შესახებ.

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები და დადგენილებანი

(სსრ კავშირის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია)

597. დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ამხ. ა. ნ. კოსიგინის დანიშვნის შესახებ.
598. დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის განთავისუფლების თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.
599. კანონი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ.
600. კანონი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.
601. დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი სსრ კავშირის 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ.
602. დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ.
603. დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის განთავისუფლების შესახებ.
604. დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი დეპუტატ მ. ხოლოვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ არჩევისა და ამ მოვალეობისაგან დეპუტატ მ. რახმატოვის განთავისუფლების შესახებ.

9562

ეროვნული ბიბლიოთეკა

605. კანონი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა „სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის საერთო-საკავშირო სამინისტროს შექმნის თაობაზე“ მიღებულ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცებისა და სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 77 მუხლში დამატების შეტანის შესახებ.

606. კანონი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 10 აგვისტოს ბრძანებულების დამტკიცებასა და „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სსრ კავშირში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“ კანონის 4 მუხლში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანაზე.

607. კანონი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა „ბელორუსიის სს რესპუბლიკის მოგილიოვის ოლქისათვის რუსეთის სფს რესპუბლიკის სმოლენსკის ოლქის მაზიკინის სასოფლო საბჭოს ტერიტორიის ნაწილის გადაცემის თაობაზე და ამასთან დაკავშირებით რუსეთის სფს რესპუბლიკასა და ბელორუსიის სს რესპუბლიკას შორის საზღვრის ნაწილობრივი შეცვლის შესახებ“ მიღებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცებაზე.

608. დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი სსრ კავშირის მინისტრთა დანიშვნის და სსრ კავშირის რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის თაობაზე მიღებულ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ.

## დადგენილება კავშირის საბჭოსი

609. სამანდატო კომისიის მოხსენების გამო.

## დადგენილება ეროვნებათა საბჭოსი

610. სამანდატო კომისიის მოხსენების გამო.

611. დეპუტატ მ. რახმატოვის ეროვნებათა საბჭოს ეკონომიური კომისიის წევრად არჩევის შესახებ.

## განყოფილება მეორე

612. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ნ. ნ. ვლასოვისა და ა. გ. მირზანოვის მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

613. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აკადემიკოს ვ. ა. ენგელგარდტის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

614. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის გ. ვ. წერეთლის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

615. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის სახალხო მხატვრის მ. გ. დერეგუსის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.

616. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ გ. კ. ხოლოპოვის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.

617. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა არმიის გენერალ პ. კ. კოშევოის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

618. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. კ. კოსპანოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

619. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მილიციის უფროსი ლეიტენანტის ვ. ნ. შაქარაშვილის მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

620. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის სახალხო არტისტის თ. ს. ჩებანის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

621. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მილიციის უფროსი ლეიტენანტის ა. ა. სინკევიჩის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

522. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საავიაციო ტექნიკის მფრინავ-გამომცდელთა და შტურმან-გამომცდელთათვის „სსრ კავშირის დამსახურებული მფრინავ-გამომცდელის“ და „სსრ კავშირის დამსახურებული შტურმან-გამომცდელის“ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.
623. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გენერალ-პოლკოვნიკ ვ. ნ. კომაროვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
624. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა უზბეკეთის სსრ ფერგანის ოლქის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულებათა კომისიებში.
საინფორმაციო ცნობა 1962 წლის ყავის საერთაშორისო შეთანხმების შესახებ.
ცნობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შესახებ.

# ნაწილი II

## განყოფილება მეორე

625. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ხ. ს. ბღაჭბას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
626. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ე. ონიაშვილისათვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შეს[illegible]ბ.
527. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ი. ჩხეიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაწილი I

## განყოფილება პირველი

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**596** **ვოლგა-ბალტიის წყალსავალი გზისათვის ვ. ი. ლენინის სახელის მიკუთვნების შესახებ**

მიეკუთვნოს ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახელი ვოლგა-ბალტიის წყალსავალ გზას და ამიერიდან ამ გზას ეწოდოს: „ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-ბალტიის წყალსავალი გზა".

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 11 დეკემბერი.
№ 3087-VI.

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები და დადგენილებანი

(სსრ კავშირის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია)

### დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი

**597** **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ამხ. ა. ნ. კოსიგინის დანიშვნის შესახებ**

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დაინიშნოს ამხ. ალექსი ნიკოლოზის ძე კოსიგინი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ, ამასთან დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 15 ოქტომბრის შესაბამისი ბრძანებულება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 9 დეკემბერი.
№ 3081-VI.

### დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი

**598** **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის განთავისუფლების თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ**

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 15 ოქტომბრის ბრძანებულება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან ამხ. ნიკიტა სერგის ძე **ხრუშჩოვის** განთავისუფლების შესახებ ხანდაზმულობისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 9 დეკემბერი.
№ 3082-VI.

## კანონი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა

## 599 სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

**მუხლი 1.** მოწონებულ იქნეს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის სახელმწიფო გეგმა, მომზადებული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტებთან, სამინისტროებსა და უწყებებთან ერთად იმ შესწორებათა გათვალისწინებით, რომლებიც შეიტანეს კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიებმა და ეროვნებათა საბჭოს ეკონომიურმა კომისიამ.

**მუხლი 2.** დამტკიცდეს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის სახელმწიფო გეგმის შემდეგი ძირითადი მაჩვენებლები:

| | ზრდა პროცენტობით 1964 წელთან შედარებით |
|---|---|
| ეროვნული შემოსავალი, გათვალისწინებული მოხმარებისა და დაგროვებისათვის | — 8,0 პროცენტი |
| მრეწველობის საერთო პროდუქცია | — 8,1 პროცენტი |
| აქედან: | |
| წარმოების საშუალებათა წარმოება | — 8,2 პროცენტი |
| მოხმარების საგნების წარმოება | — 7,7 პროცენტი |
| სახელმწიფო ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებანი | — 11,3 პროცენტი |
| ძირითადი ფონდების ამოქმედება | — 11,8 პროცენტი |
| ყველა სახეობის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა | — 7,1 პროცენტი |
| შრომის ნაყოფიერება: | |
| მრეწველობაში | — 5,7 პროცენტი |
| მშენებლობაში | — 6,0 პროცენტი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | |
|---|---|
| სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა | — 7,9 პროცენტი |

**მუხლი 3.** მოწონებულ იქნეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ შემუშავებული წინადადებანი საბჭოთა ხალხის ცხოვრების მატერიალური დონის შემდგომი ამაღლების შესახებ და 1965 წელს განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებანი:

1965 წლის 1 იანვრიდან (ნაცვლად 1965 წლის მეორე ნახევრისა ადრე მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით) ხელფასის მინიმალური ოდენობა თვეში 40-45 მანეთამდე გაუდიდდეთ მუშებსა და მოსამსახურეებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, სადაც ეს ჯერ არ განხორციელებულა;

1965 წლის 1 მაისამდე (ნაცვლად 1965 წლის მეორე ნახევრისა ადრე მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით) მოემატოთ ხელფასი საბინაო-კომუნალური მეურნეობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისა და ორგანიზაციების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ხელოვნების დაწესებულებების, გამომცემლობების, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, დამამზადებელი საწარმოებისა და ორგანიზაციების, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და გასაღების, დაცვის, სახელმწიფო და სამეურნეო მმართველობის რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების მუშაკებს;

შემცირდეს ცალკეულ სახეობათა მედიკამენტების საცალო ფასები, გადიდდეს იმ მედიკამენტებზე სახსრების ხარჯვის ნორმები, რომლებიც უფასოდ ეძლევათ საავადმყოფოებში, ინვალიდთა და მოხუცთა სახლებში სამკურნალოდ მყოფ ავადმყოფებს, აგრეთვე დამატებით უფასოდ გაიცეს მედიკამენტები ზოგიერთი კატეგორიის ავადმყოფებისათვის;

გადიდდეს 1964 წელთან შედარებით:

| | |
|---|---|
| საცხოვრებელი სახლების საერთო ფართობის საექსპლუატაციოდ გადაცემა სახელმწიფო მშენებლობის ხაზით | — 13,0 პროცენტით |
| მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამუშაოთა მოცულობა | — 18,7 პროცენტით |
| ადგილების რიცხვი საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებებში, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტზე არიან | — 14,1 პროცენტით |
| მოსწავლეთა რიცხვი გახანგრძლივებული დღის სკოლებსა და ჯგუფებში | — 27,5 პროცენტით. |

**მუხლი 4.** დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განიხილოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ წინადადებანი და შენიშვნები, რომლებიც ჩამოყალიბებულია კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიებისა და ეროვნებათა საბჭოს ეკონომიური კომისიის დასკვნებში, აგრეთვე დეპუტატების მიერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატათა სხდომებზე გამოთქმული წინადადებანი და შენიშვნები და მიიღოს მათი მიხედვით შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 11 დეკემბერი.
№ 3089-VI.

## კანონი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა

## 600 საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

**მუხლი 1.** დამტკიცდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი სსრ კავშირის 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიების და ეროვნებათა საბჭოს ეკონომიური კომისიის მოხსენებათა მიხედვით მიღებული ცვლილებებითურთ, სახელდობრ: სულ შემოსავლის ნაწილში 99.700.218 ათასი მანეთის ოდენობით და სულ გასავლის ნაწილში 99.535.600 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის 164.618 ათასი მანეთის გადამეტებით.

**მუხლი 2.** დაწესდეს სსრ კავშირის 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან — ბრუნვის გადასახადი, მოგების ანარიცხები, საშემოსავლო გადასახადი და სხვა შემოსავალი სოციალისტური მეურნეობისაგან სულ 91.791.070 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 3.** დაწესდეს სსრ კავშირის 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად — ქიმიური, ნავთობის, მანქანათსაშენებლო და მძიმე მრეწველობის სხვა დარგების, სამშენებლო ინდუსტრიის, მსუბუქი და კვების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შემდგომი განვითარებისათვის — სულ 42.362.416 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 4.** დაწესდეს სსრ კავშირის 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნობანი სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის — საყოველთაო სწავლების სკოლების, ტექნიკუმების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, ბიბლიოთეკების, კლუბების, თეატრების, პრესის, რადიომაუწყებლობისა და განათლების და კულტურის სხვა ღონისძიებებისათვის; საავადმყოფოების, საბავშვო ბაგების, სანატორიუმებისა და ჯანმრთელობის დაცვის და ფიზიკური კულტურის სხვა დაწესებულებებისათვის; პენსიებისა და დახმარებისათვის —

მუხ. 600/
ეროვნული
ბიბლიოთეკა

სულ 37.453.505 ათასი მანეთის ოდენობით, აქედან სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტით 10.449.083 ათასი მანეთი.

**მუხლი 5.** დამტკიცდეს სსრ კავშირის 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალში ასიგნობანი 988.000 ათასი მანეთის ოდენობით, რათა 1965 წლის 1 იანვრიდან ხელფასის მინიმალური ოდენობა გაუდიდდეთ ყველგან მუშებსა და მოსამსახურეებს 40-45 მანეთამდე თვეში, 1965 წლის 1 მაისამდე დამთავრდეს სახალხო მეურნეობის იმ დარგების მუშაკთა ხელფასის მომატება, რომლებიც უშუალოდ მოსახლეობას ემსახურება, გადიდდეს სახსრების ხარჯვის ნორმები საავადმყოფოებში, ინვალიდთა და მოხუცთა სახლებში ავადმყოფების მკურნალობისათვის მედიკამენტების შესაძენად, დამატებით უფასოდ მიეცეს მედიკამენტები ზოგიერთი კატეგორიის ავადმყოფებს, აგრეთვე შემცირდეს მედიკამენტების საცალო ფასები.

**მუხლი 6.** დაწესდეს სსრ კავშირის 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნობანი ჩვენი ქვეყნის თავდაცვისათვის 12.789.000 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 7.** დაწესდეს სსრ კავშირის 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნობანი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, სასამართლოსა და პროკურატურის შესანახავად 1.152.265 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 8.** დამტკიცდეს 1965 წლის საკავშირო ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში 46.398.287 ათასი მანეთის და გასავლის ნაწილში 46.233.669 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის 164.618 ათასი მანეთის გადამეტებით.

**მუხლი 9.** დაწესდეს მოკავშირე რესპუბლიკების 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტები შემოსავლისა და გასავლის ნაწილში 54.527.296 ათასი მანეთის ოდენობით, აქედან მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით:

| | (ათასი მანეთი) |
|---|---|
| რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა | 31.552.385 |
| უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 9.282.721 |
| ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 1.660.532 |
| უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 1.840.797 |
| ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 3.981.224 |
| საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 945.028 |
| აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 930.849 |
| ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 765.495 |
| მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 512.946 |
| ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 562.794 |
| ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 530.672 |
| ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 491.414 |
| სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 603.618 |
| თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 461.526 |
| ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 405.295 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მუხლი 10.** დამტკიცდეს 1965 წლისათვის საერთო-საკავშირო სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლის ანარიცხები მოკავშირე რესპუბლიკათა სახელმწიფო ბიუჯეტებში შემდეგი ოდენობით:

ა) ბრუნვის გადასახადის შემოსავლიდან: რუსეთის სფს რესპუბლიკის ბიუჯეტში — 29,2 პროცენტი, უკრაინის სსრ ბიუჯეტში — 33,5 პროცენტი, ბელორუსიის სსრ ბიუჯეტში —52,7 პროცენტი, უზბეკეთის სსრ ბიუჯეტში — 89,9 პროცენტი, ყაზახეთის სსრ ბიუჯეტში — 100 პროცენტი, საქართველოს სსრ ბიუჯეტში — 89,3 პროცენტი, აზერბაიჯანის სსრ ბიუჯეტში — 93,8 პროცენტი, ლიტვის სსრ ბიუჯეტში — 79,9 პროცენტი, მოლდავეთის სსრ ბიუჯეტში — 33,7 პროცენტი, ლატვიის სსრ ბიუჯეტში — 18,2 პროცენტი, ყირგიზეთის სსრ ბიუჯეტში — 89,7 პროცენტი, ტაჯიკეთის სსრ ბიუჯეტში — 99,3 პროცენტი, სომხეთის სსრ ბიუჯეტში — 100 პროცენტი, თურქმენეთის სსრ ბიუჯეტში — 100 პროცენტი, ესტონეთის სსრ ბიუჯეტში — 55,1 პროცენტი;

ბ) 1965 წლის 3-პროცენტიანი სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის გავრცელების თანხიდან — 50 პროცენტი;

გ) ტაჯიკეთის სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადისაგან — 100 პროცენტი.

1965 წლის საკავშირო ბიუჯეტის სახსრებიდან გამოეყოს ყაზახეთის სსრ სახელმწიფო ბიუჯეტს 1.086.063 ათასი მანეთი, სომხეთის სსრ სახელმწიფო ბიუჯეტს — 57.014 ათასი მანეთი და თურქმენეთის სსრ სახელმწიფო ბიუჯეტს — 82.288 ათასი მანეთი იმ ღონისძიებათა დაფინანსების უზრუნველსაყოფად, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის გეგმით.

**მუხლი 11.** დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განიხილოს სსრ კავშირის 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ წინადადებები და შენიშვნები, რომლებიც ჩამოყალიბებულია კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიებისა და ეროვნებათა საბჭოს ეკონომიური კომისიის დასკვნებში, აგრეთვე დეპუტატთა მიერ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების სხდომებზე გამოთქმული წინადადებები და შენიშვნები და მიიღოს მათი მიხედვით შესაბამისი გადაწყვეტილებები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 11 დეკემბერი.

№ 3090-VI.

## დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი

## 601 სსრ კავშირის 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შემოსავლის ნაწილში 89.538.037 ათასი მანეთის ოდენობით და გასავლის ნაწილში 86.998.899 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის 2.539.138 ათასი მანეთის გადამეტებით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 11 დეკემბერი.
№ 3091-VI.

## დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი

## 602 ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს ამხ. **ლ. ი. ბრეჟნევი** საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარედ.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 11 დეკემბერი.
№ 3092-VI.

## დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი

## 603 საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის განთავისუფლების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

განთავისუფლდეს ამხ. **ნ. ს. ხრუშჩოვი** საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 11 დეკემბერი.
№ 3093-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი

### 604 დეპუტატ მ. ხოლოვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ არჩევისა და ამ მოვალეობისაგან დეპუტატ მ. რახმატოვის განთავისუფლების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. არჩეულ იქნეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ დეპუტატი მახმადულა **ხოლოვი** — ტაჯიკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.
2. განთავისუფლდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან დეპუტატი მირზო **რახმატოვი**, რომელიც ამჟამად მუშაობს ტაჯიკეთის სსრ კულტურის მინისტრად.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 11 დეკემბერი.
№ 3094-VI

## კანონი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა

### 605 „სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის საერთო-საკავშირო სამინისტროს შექმნის თაობაზე“ მიღებულ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცებისა და სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 77 მუხლში დამატების შეტანის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 27 ივლისის ბრძანებულება „სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის საერთო-საკავშირო სამინისტროს შექმნის შესახებ“.

ამის შესაბამისად სსრ კავშირის კონსტიტუციის 77 მუხლში სიტყვების შემდეგ „საგარეო ვაჭრობის“ დაემატოს სიტყვები: „სამოქალაქო ავიაციის“.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 11 დეკემბერი.
№ 3095-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კანონი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა

**606** **სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 10 აგვისტოს ბრძანებულების დამტკიცებასა და „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სსრ კავშირში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“ კანონის 4 მუხლში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანაზე**

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 10 აგვისტოს ბრძანებულება „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სსრ კავშირში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“ კანონის 4 მუხლში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის შესახებ“.

ამის შესაბამისად სსრ კავშირის 1958 წლის 24 დეკემბრის აღნიშნული კანონის 4 მუხლის „ბ“ პუნქტის პირველ აბზაცში სიტყვები „სამი წლის განმავლობაში იღებენ“ შეიცვალოს სიტყვებით „ორი წლის განმავლობაში იღებენ“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 11 დეკემბერი.
№ 3096-VI.

## კანონი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა

**607** **„ბელორუსიის სს რესპუბლიკის მოგილიოვის ოლქისათვის რუსეთის სფს რესპუბლიკის სმოლენსკის ოლქის მაზიკინის სასოფლო საბჭოს ტერიტორიის ნაწილის გადაცემის თაობაზე და ამასთან დაკავშირებით რუსეთის სფს რესპუბლიკასა და ბელორუსიის სს რესპუბლიკას შორის საზღვრის ნაწილობრივი შეცვლის შესახებ“ მიღებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცებაზე**

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 17 ნოემბრის ბრძანებულება „ბელორუსიის სს რესპუბლიკის მოგილიოვის ოლქისათვის რუსეთის სფს რესპუბლიკის სმოლენსკის ოლქის მაზიკინის სასოფლო საბჭოს ტერიტორიის ნაწილის გადაცემის თაობაზე და ამასთან დაკავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შირებით რუსეთის სფს რესპუბლიკასა და ბელორუსიის სს რესპუბლიკას შორის საზღვრის ნაწილობრივი შეცვლის შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 11 დეკემბერი.
№ 3097-VI.

## დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი

## 608 სსრ კავშირის მინისტრთა დანიშვნის და სსრ კავშირის რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის თაობაზე მიღებულ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესმა საბჭომ დაადგინა დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1964 წლის 25 აგვისტოსი — ამხ. ევგენი თევდორეს ძე **ლოგინოვის** სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1964 წლის 12 ოქტომბრისა — ამხ. ნიკოლოზ ვასილის ძე **მარტინოვის** სსრ კავშირის მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1964 წლის 30 ოქტომბრისა — ამხ. მიხეილ ავერკის ძე **ხარლამოვის** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლებისა და ამხ. ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე **მესიაცევის** ამ კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 11 დეკემბერი.
№ 3098-VI.

## დადგენილება კავშირის საბჭოსი

## 609 სამანდატო კომისიის მოხსენების გამო

კავშირის საბჭომ მოისმინა სამანდატო კომისიის მოხსენება და დაადგინა ცნობილ იქნეს რწმუნებანი კავშირის საბჭოს დეპუტატებისა:

ალექსი ალექსანდრეს ძე **ვოლოშინისა**, რომელიც არჩეულია 1964 წლის 27 სექტემბერს გროზნოს № 434 საარჩევნო ოლქში;

პარპი **ხუჟაევისა**, რომელიც არჩეულია 1964 წლის 29 ნოემბერს ლენინგრადის № 655 საარჩევნო ოლქში;

თევდორე დანილის ძე **ოვჩარენკოსი**, რომელიც არჩეულია 1964 წლის 29 ნოემბერს პოლოცკის № 493 საარჩევნო ოლქში.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 9 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დადგენილებანი ეროვნებათა საბჭოსი

### 610 სამანდატო კომისიის მოხსენების გამო

ეროვნებათა საბჭომ მოისმინა სამანდატო კომისიის მოხსენება და დაადგინა ცნობილ იქნეს რწმუნებანი ეროვნებათა საბჭოს დეპუტატებისა:

მახმადულა **ხოლოვისა**, რომელიც არჩეულია 1964 წლის 26 ივლისს ფენჯიკენტის № 294 საარჩევნო ოლქში ტაჯიკეთის სს რესპუბლიკისაგან;

ანდრია პეტრეს ძე **კუზმინისა**, რომელიც არჩეულია 1964 წლის 30 აგვისტოს ონეგის № 465 საარჩევნო ოლქში კარელიის ასს რესპუბლიკისაგან;

ნიკოლოზ სიმონის ძე **ლაზებნისა**, რომელიც არჩეულია 1964 წლის 30 აგვისტოს მთიანი ალტაის № 601 საარჩევნო ოლქში მთიანი ალტაის ავტონომიური ოლქისაგან;

სტეფანე ივანეს ძე **ოლეინიკისა**, რომელიც არჩეულია 1964 წლის 29 ნოემბერს ჟიტომირის № 32 საარჩევნო ოლქში უკრაინის სს რესპუბლიკისაგან.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 9 დეკემბერი.

### 611 დეპუტატ მ. რახმატოვის ეროვნებათა საბჭოს ეკონომიური კომისიის წევრად არჩევის შესახებ

ეროვნებათა საბჭო **ადგენს**:

არჩეულ იქნეს მირზო **რახმატოვი** ეროვნებათა საბჭოს ეკონომიური კომისიის წევრად ტაჯიკეთის სს რესპუბლიკიდან.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 9 დეკემბერი.

## განყოფილება მეორე

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 612 ნ. ნ. ვლასოვისა და ა. გ. მირშანოვის მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

სახელმწიფო სახსრების დაცვისა და საშიშ დამნაშავეთა დაკავების დროს გამოჩენილი მამაცობისა და თავგანწირულობისათვის დაჯილდოვდნენ:

**მედლით „მამაცობისათვის“**

ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე **ვლასოვი**—ალმა-ატის ფოსტამტის ფოსტალიონი.

ახიიატ გალის ძე **მირშანოვი** — ალმა-ატის № 1 პურის ქარხნის მუშა.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 2 დეკემბერი.

№ 3062-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 613 აკადემიკოს ვ. ა. ენგელგარდტის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ბიოლოგიური მეცნიერების განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით აკადემიკოსი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე **ენგელგარდტი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 3 დეკემბერი.
№ 3063-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 614 სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის გ. ვ. წერეთლის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

აღმოსავლური ფილოლოგიის დარგში და მეცნიერული კადრების მომზადებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გიორგი ვასილის ძე **წერეთელი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 4 დეკემბერი.
№ 3065-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 615 სსრ კავშირის სახალხო მხატვრის მ. გ. დერეგუსის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის სახალხო მხატვარი მიხეილ გორდეის ძე **დერეგუსი** დაჯილდოვდეს **„საპატიო ნიშნის“** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 4 დეკემბერი.
№ 3066-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 616 მწერალ გ. კ. ხოლოპოვის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით მწერალი გიორგი კონსტანტინეს ძე **ხოლოპოვი** დაჯილდოვდეს **„საპატიო ნიშნის“** ორდენით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 8 დეკემბერი.
№ 3076-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 617 არმიის გენერალ პ. კ. კოშევოის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა არმიის წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით არმიის გენერალი პეტრე კირილეს ძე **კოშევოი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 9 დეკემბერი.
№ 3077-VI.

9362

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 618 ამხ. შ.კ. კოსპანოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით ყაზახეთის კპ ურალსკის სასოფლო ოლქკომის პირველი მდივანი შაპეტ კოსპანის ძე **კოსპანოვი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 9 დეკემბერი.
№ 3078-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 619 მილიციის უფროსი ლეიტენანტის ვ. ნ. შაქარაშვილის მედლით „მამაცობისათვის" დაჯილდოების შესახებ

საშიში დამნაშავის დაკავების დროს გამოჩენილი მამაცობისა და გმირობისათვის მილიციის უფროსი ლეიტენანტი ვლადიმერ ნიკოლოზის ძე **შაქარაშვილი** დაჯილდოვდეს მედლით „მამაცობისათვის".

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 9 დეკემბერი.
№ 3080-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 620 სსრ კავშირის სახალხო არტისტის თ. ს. ჩებანის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დამსახურებისათვის საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების დარგში და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის სახალხო არტისტი თამარ სავლეს ასული **ჩებანი** დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი. კრემლი. 1964 წლის 10 დეკემბერი.
№ 3083-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 621 მილიციის უფროსი ლეიტენანტის ა. ა. სინკევიჩის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საშიში დამნაშავის დაკავების დროს გამოჩენილი გმირობისა და მამაცობისათვის მილიციის უფროსი ლეიტენანტი ალექსი ანდრიას ძე **სინკევიჩი** დაჯილდოვდეს **წითელი ვარსკვლავის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი. კრემლი. 1964 წლის 10 დეკემბერი.
№ 3084-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 622 საავიაციო ტექნიკის მფრინავ-გამომცდელთა და შტურმან-გამომცდელთათვის „სსრ კავშირის დამსახურებული მფრინავ-გამომცდელის“ და „სსრ კავშირის დამსახურებული შტურმან-გამომცდელის“ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

ახალი საავიაციო ტექნიკის გამოკვლევისა და გამოცდის დარგში მრავალი წლის შემოქმედებითი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება

**„სსრ კავშირის დამსახურებული მფრინავ-გამომცდელისა“**

1. პოლკოვნიკ ვლადიმერ გიორგის ძე **გეოს**.
2. პოლკოვნიკ ვადიმ მიხეილის ძე **ზახაროვს**.
3. პოლკოვნიკ ვიქტორ სერგის ძე **კიპელკინს**.
4. ინჟინერ-პოლკოვნიკ ვადიმ ივანეს ძე **კრავჩენკოს**.
5. ინჟინერ-პოლკოვნიკ კონსტანტინე დიმიტრის ძე **ტაიურსკის**.

**„სსრ კავშირის დამსახურებული შტურმან-გამომცდელისა“**

1. პოდპოლკოვნიკ თევდორე ვასილის ძე **მოგილნიკოვს**.
2. პოლკოვნიკ ნიკოლოზ ივანეს ძე **სავინს**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი. კრემლი. 1964 წლის 10 დეკემბერი.

№ 3085-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 623 გენერალ-პოლკოვნიკ ვ. ნ. კომაროვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა არმიის წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით გენერალ-პოლკოვნიკი ვლადიმერ ნიკოლოზის ძე **კომაროვი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 11 დეკემბერი.

№ 3088-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 624 უზბეკეთის სსრ ფერგანის ოლქის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ბამბის და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდებაში უზბეკეთის სსრ ფერგანის ოლქის მშრომელთა მიერ მოპოვებული დიდი წარმატებებისათვის, ბამბის მოვლა-მოყვანაში პროგრესული წესების ფართოდ გამოყენებისა და იმისათვის, რომ 1964 წელს წარმატებით შეასრულა სოციალისტური ვალდებულებანი და სახელმწიფოს ჩააბარა 491 ათასი ტონა ხამი ბამბა, უზბეკეთის სსრ ფერგანის ოლქი დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 12 დეკემბერი.

№ 3099-VI.

## განყოფილება მესამე

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულებათა კომისიებში

ამა წლის 8 დეკემბერს კრემლში გ. ი. ვორობიოვისა და ნ. ზარიპოვას თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულებათა კომისიების გაერთიანებული სხდომა.

კომისიებმა მოისმინეს და განიხილეს ქვეკომისიების მოხსენებები, თუ როგორ მიმდინარეობს მუშაობა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლების, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წყალთა მეურნეობის კანონმდებლობის საფუძვლების, აგრეთვე სსრ კავშირში ერთიანი აღრიცხვისა და სტატისტიკის კანონის პროექტების მოსამზადებლად განსაზღვრეს კანონპროექტებზე შემდგომი მუშაობის წესი. გარდა ამისა კომისიებმა შექმნეს ქვეკომისია, რომელიც განიხილავს სოციალისტური სახელმწიფო სამრეწველო საწარმოს კანონის პროექტს.

კომისიების სხდომაზე დაამტკიცეს კომისიების მუშაობის 1965 წლის გეგმა და განიხილეს სხვა საკითხები.

კომისიების მუშაობაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, სსრ კავშირის მინისტრები და სხვა უწყებათა ხელმძღვანელები, პრესის წარმომადგენლები, მეცნიერები.

## საინფორმაციო ცნობა

## 1962 წლის ყავის საერთაშორისო შეთანხმების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ გაითვალისწინა, რომ ყავის საერთაშორისო შეთანხმება წარმოადგენს ერთადერთ სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთაშორისო ინსტრუმენტს, რომლის მიზანია ყავის ბაზრის სტაბილიზაცია და ყავის სხვა პრობლემების გადაწყვეტა და, სურს რა ხელი შეუწყოს ამ მიზნის მიღწევას, 1962 წლის 23 ნოემბერს ხელი მოაწერა აღნიშნულ შეთანხმებას ნიუ-იორკში.

შეთანხმება რატიფიცირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1963 წლის 30 დეკემბერს იმ განცხადებითურთ, რომელიც სსრ კავშირის წარმომადგენელმა გააკეთა ამ შეთანხმების ხელმოწერის დროს.

სსრ კავშირის სარატიფიკაციო სიგელი შესანახად ჩაბარდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს 1963 წლის 31 დეკემბერს.

შეთანხმების ტექსტი გამოქვეყნებულია „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“ (№ 50, 1964 წლის 9 დეკემბერი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ც ნ ო ბ ა

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შესახებ

1964 წლის 29 ნოემბერს გაიმართა კავშირის საბჭოს დეპუტატთა არჩევნები უზბეკეთის სსრ ფერგანის ოლქის ლენინგრადის № 655 საარჩევნო ოლქში და უკრაინის სსრ ზაპოროჟიეს ოლქის პოლოგის № 493 საარჩევნო ოლქში, აგრეთვე ეროვნებათა საბჭოს დეპუტატის არჩევნები უკრაინის სსრ ჟიტომირის № 32 საარჩევნო ოლქში.

კავშირის საბჭოს დეპუტატებად არჩეული არიან: ლენინგრადის № 655 საარჩევნო ოლქში ამხ. პარპი **ხუჟაევი**, უზბეკეთის სსრ ფერგანის ოლქის პაპის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი და პოლოგის № 493 საარჩევნო ოლქში — ამხ. თევდორე დანილოს ძე **ოვჩარენკო**, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზოგადი და არაორგანული ქიმიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე.

ეროვნებათა საბჭოს დეპუტატად ჟიტომირის № 32 საარჩევნო ოლქში არჩეულია ამხ. სტეფანე ივანეს ძე **ოლეინიკი**, მწერალი, უკრაინის სსრ მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნაწილი II

### განყოფილება მეორე

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**625** **ამხ. ხ. ს. ბღაჟბას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით დ. ნ. გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი ამხ. **ხუხუტი** სოლომონის ძე **ბღაჟბა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1964 წლის 9 დეკემბერი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**626** **ამხ. გ. ე. ონიაშვილისათვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

ქართული მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისა და რესპუბლიკის მუსიკალური კადრების აღზრდისათვის, დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით ამხ. გიორგი ეფრემის ძე **ონიაშვილს** მიენიჭოს **საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1964 წლის 9 დეკემბერი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**627** **ამხ. ვ. ი. ჩხეიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით ოჩამჩირის რაიონის ქოჩარის სასოფლო საავადმყოფოს გამგე ვლადიმერ ივლონის ძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩხეიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 14 დეკემბერი.

## განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

ამას წინათ გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბინაო მშენებლობის კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივი კომისიის სხდომა.

კომისიის მუშაობაში გარდა მისი წევრებისა, მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის, რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის წარმომადგენლები.

კომისიამ განიხილა საკითხი: საქართველოს სსრ ქალაქებისა და დაბების წყალმომარაგების მდგომარეობა და წყალსადენების მშენებლობის მიმდინარეობა.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრმა ვ. პაატაშვილმა.

მუდმივი კომისიის სხდომაზე სიტყვები წარმოთქვეს მისმა წევრებმა, დეპუტატებმა ი. მღებრიშვილმა, ზ. ჯაფარიძემ, შ. კიკნაძემ, ვ. მირიანაშვილმა, ზ. პატარიძემ, აგრეთვე საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოადგილემ მ. ზოდელავამ, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ შ. ბუხრაშვილმა, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის საბინაო-კომუნალური მეურნეობის განყოფილების გამგემ ვ. ქუჩულორიამ.

კომისიის სხდომის მუშაობა შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ. დეპუტატმა გ. ვაშაკიძემ.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. კვაჭაძემ.

* *
*

ამას წინათ გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულებათა მუდმივი კომისიის სხდომა დეპუტატ დ. მჭედლიშვილის თავმჯდომარეობით.

კომისიის სხდომას, გარდა კომისიის წევრებისა, დაესწრნენ: საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგე ზ. რატიანი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იური-დიული კომისიის თავმჯდომარე მ. ლომიძე, თბილისის მშრომელთა დეპუტა-ტების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ნ. ქვანია და სხვები.

კომისიამ განიხილა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლისა და სამო-ქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსების პროექტების გამო შემოტანილი შენიშვნები და წინადადებები.

კოდექსების პროექტების გამო თავიანთი შენიშვნები და წინადადებანი გამოთქვეს კომისიის წევრებმა დეპუტატებმა ს. შარაძენიძემ, ვ. გელაშვილმა, ვ. მაისურაძემ, ბ. ქლენტმა, დ. საბაშვილმა, პ. ბერძენიშვილმა, ნ. ებრალიძემ, აგრეთვე ამხანაგებმა ზ. რატიანმა, მ. ლომიძემ, ნ. ქვანიამ და სხვებმა.

კომისიამ გაითვალისწინა რიგი შენიშვნები და წინადადებანი, რომლებიც გამოთქვა სხდომაზე, და გადაწყვიტა, რომ კოდექსების პროექტები შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგი სესიის განსახილველად.

კომისიამ დაავალა დეპუტატ დ. მჭედლიშვილს, რომ მოხსენება გააკეთოს უმაღლესი საბჭოს სესიაზე.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. კვაჭაძემ.

* *
*

საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მომავალ სესი-ასთან დაკავშირებით რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიამ განიხილა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის დაზუსტებული სახელმწიფო გეგმის პროექტი და საქართველოს სსრ 1965 წლის დაზუსტებული სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი, აგრეთვე 1963 წლის სახელ-მწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

გარდა წევრებისა, კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის მშრომელ-თა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, მთელი რიგი საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების წარმომად-გენლები, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის, რესპუბლიკის სა-ხალხო მეურნეობის საბჭოს, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსა და სხვა სამინისტროთა და უწყებათა წარმომადგენლები.

საბიუჯეტო კომისიამ მოისმინა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კო-მისიის თავმჯდომარის მოადგილის დ. კეშელავას მოხსენება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის დაზუსტებული სახელმწიფო გეგმის პროექტის შესახებ და რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის ბ. ჩხეიძის მოხსენება საქართველოს სსრ 1965 წლის დაზუსტებული სახელმწიფო ბიუჯე-ტის პროექტისა და რესპუბლიკის 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრუ-ლების შესახებ.

მოხსენებათა გამო შენიშვნები გამოთქვეს საქართველოს სსრ სახალხო მე-ურნეობის საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დ. მამაცაშვილმა, სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა თ. ბუაჩიძემ, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ შ. ბუხრაშვილმა, რესპუბლიკის წყალთა მეურნეობის მინისტრმა გ. ქობულიამ, რესპუბლიკის განათლების მინისტრმა თ. ლაშქარაშვილმა, ბოლნისის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. ყულიევმა, საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრმა მ. თოფურიძემ, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილემ ს. ცომაიამ, მაიაკოვსკის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შ. ჯოგლიძემ, დუშეთის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა ა. შადურმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილემ ო. დვალმა, სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ გ. ჯუსოევმა, ლანჩხუთის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. გვარჯალაძემ, აფხაზეთის ასსრ ფინანსთა მინისტრის მოადგილემ მ. სარქისიანმა, თელავის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. მეზვრიშვილმა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრის მოადგილემ მ. ღვინჯილიამ, კასპის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ თ. პაპიაშვილმა, ბორჯომის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ქ. ხარისჭირაშვილმა. აჭარის ასსრ ფინანსთა მინისტრის მოადგილემ დ. სარიშვილმა.

საბიუჯეტო კომისიის მუშაობა შეაჯამა კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა დ. გელაშვილმა.

კომისიამ მოიწონა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები, აგრეთვე 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში და მისი დასკვნა განსახილველად წარედგინება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიას.

საბიუჯეტო კომისიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. კვაჭაძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### მიმდინარეობს ხელმოწერა

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებებზე

## 1965 წლისათვის

### „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“ ქვეყნდება:

**პირველ ნაწილში (ქართულ ენაზე):**

ა) სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ნორმატიული ხასიათის ბრძანებულებები და დადგენილებები, აგრეთვე სხვა დოკუმენტები;

ბ) სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები საბჭოთა კავშირის გმირისა და სოციალისტური შრომის გმირის წოდებათა, საპატიო წოდებათა მინიჭების და სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ;

გ) მოკლე ცნობები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და მისი პალატების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ, ინფორმაცია საპარლამენტთაშორისო კავშირის სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის მოღვაწეობის შესახებ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნებისა და გაწვევის შესახებ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისათვის უცხო სახელმწიფოთა ელჩების მიერ რწმუნების სიგელების გადაცემის შესახებ, ცნობები მოკავშირე რესპუბლიკების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ და სხვ.

**მეორე ნაწილში (ქართულ და რუსულ ენებზე):**

ა) საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ნორმატიული ხასიათის ბრძანებულებები და დადგენილებები;

ბ) საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭებისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ;

გ) ინფორმაცია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მისი მუდმივი კომისიების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნებისა და გაწვევის შესახებ, რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ და სხვ.

## „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“

### გამოდის თვეში სამჯერ ქართულ და რუსულ ენებზე.

**ხელმოწერის ფასი:**

12 თვით — 2 მანეთი და 50 კაპ.
6 თვით — 1 მანეთი და 25 კაპ.

**ხელმოწერას მიიღებს:**

„სოიუზპეჩატი“, კავშირგაბმულობის განყოფილებები; კონტორები, სააგენტოები, ფოსტალიონები, აგრეთვე რწმუნებულები, რომელთაც ხელმოწერის მიღების უფლება აქვთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომცემლობა „იზვესტია“
მოსკოვი, ცენტრი, პუშკინის მოედანი, 5

დაიწყო ხელმოწერა

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებზე

## 1965 წლისათვის

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“

ქვეყნდება:

პირველ განყოფილებაში — სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ნორმატიული ხასიათის ბრძანებულებები და დადგენილებები; სსრ კავშირის მიერ უცხო სახელმწიფოებთან დადებული და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ რატიფიცირებული ხელშეკრულებები, შეთანხმებები და კონვენციები;

მეორე განყოფილებაში — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები საბჭოთა კავშირის გმირისა და სოციალისტური შრომის გმირის წოდებათა, საპატიო წოდებათა მინიჭების და სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ;

მესამე განყოფილებაში — მოკლე ცნობები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და მისი პალატების, მათი მუდმივი კომისიების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ, ინფორმაცია საპარლამენტთაშორისო კავშირის სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის მოღვაწეობის შესახებ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნებისა და გაწვევის შესახებ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისათვის უცხო სახელმწიფოთა ელჩების მიერ რწმუნების სიგელების გადაცემის შესახებ, ცნობები მოკავშირე რესპუბლიკების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ და სხვა.

## „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები“

გამოდის კვირაში ერთჯერ.

ხელმოწერის ფასი:

12 თვით — 4 მანეთი და 80 კაპ.
6 თვით — 2 მანეთი და 40 კაპ.
3 თვით — 1 მანეთი და 20 კაპ.
ხელმოწერა მიიღება ყოველ მომდევნო თვიდან.

ხელმოწერას მიიღებს:

„სოიუზპეჩატის“ საქალაქო და რაიონული განყოფილებები, კავშირგაბმულობის კონტორები, განყოფილებები და სააგენტოები, ფოსტალიონები, აგრეთვე რწმუნებულები, რომელთაც ფაბრიკებში, ქარხნებში, მშენებლობებზე, შახტებში, რკინიგზის ტრანსპორტზე, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, სასწავლებლებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ხელმოწერის მიღების უფლება აქვთ.